



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU)

სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია

2022-2024

სარჩევი

ნაწილი 1. შესავალი: სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის მიზანი და შინაარსი 3

ნაწილი 2. სტრატეგიული პრიორიტეტები და განხორციელების გეგმა 6

ნაწილი 3. საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტები..... 13

ნაწილი 1. შესავალი: სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის მიზანი და მისი შინაარსი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისწრაფებას და პასუხისმგებლობას ხარისხიანი სწავლების, სწავლის, შეფასების მიმართ და წარმოადგენს სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების ერთიან ხედვას.

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს:

- უწყვეტად განავითაროს სწავლა-სწავლების ხარისხი და დანერგოს მაღალი აკადემიური სტანდარტი;
- ხელი შეუწყოს თითოეული სტუდენტის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, განავითაროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
- უზრუნველყოს სწავლების პროცესის ეფექტიანობა;
- მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომელთაც ღრმა, დარგობრივ ცოდნასთან ერთად, გააჩნიათ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები, რაც საჭიროა შრომის ბაზრისა და საზოგადოების აქტიური წევრობისთვის, რითიც ისინი შეიტანენ წვლილს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად და სტუდენტების სწავლის გამოცდილების განვითარებისთვის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია, რაც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ინსტიტუციისა და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული თითოეული მხარისთვის.

სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია რამდენიმე ძირითად პრინციპზე დაფუძნებით შემუშავდა, **ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებაა, რომელიც ხედავს სწავლას, როგორც პედაგოგისა და სტუდენტის ერთობლივ საქმიანობას და რასაც მოსდევს აქცენტის ცვლილება, მათ შორის:**

1. უფრო აქტიურ, ვიდრე პასიურ სწავლაზე აქცენტი;
2. მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდებისა და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებულ ფორმების მოქნილად გამოყენება;
3. ღრმა ცოდნისა და გაგების მნიშვნელობა;
4. სტუდენტის მხრიდან გაზრდილი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
5. ავტონომიურობის შეგრძნების გაზრდა და სტუდენტებში, პედაგოგის მიერ ადეკვატური კონსულტაციები და მხარდაჭერა;
6. პედაგოგსა და სტუდენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა;

7. ურთიერთპატივისცემა პედაგოგსა და სტუდენტს შორის, გაზრდილი პატივისცემა და მზრუნველობა სტუდენტების მრავალფეროვნებისა და მათ საჭიროებების მიმართ;
8. სწავლისა და სწავლების მიმართ რეფლექსიური მიდგომა, როგორც სტუდენტის, ასევე პედაგოგის მხრიდან.
9. სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება და სტუდენტური საჩივრების განსახილველად პროცედურების განვითარება;

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტის როლის გაზრდაზე სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესში, შესაბამისად, **სტუდენტებთან დიალოგს** ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს შემუშავებულ სწავლა-სწავლების სტრატეგიაში.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დევიზია - **„ცოდნა, რომელსაც რეალურად გამოიყენებ!“** შესაბამისად, სწავლა-სწავლების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტად დამსაქმებელთა ჩართულობა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა, მათ უნარებზე კონცენტრაცია განისაზღვრა.

სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის აღსრულება ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებას, სწავლის შედეგების მიღწევას და სწავლის გამოცდილების გაუმჯობესებას, ასევე გაზრდის სტუდენტთა კმაყოფილებას (რაც, ხელს შეუწყობს სტუდენტთა შენარჩუნებასა და მოზიდვას), უნივერსიტეტის რეპუტაციასა და პრესტიჟს, მის მდგრადობას და პოზიციონირებას განათლების ბაზარზე.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგიის განვითარების გეგმის ფორმირების პროცესში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ინსტიტუციური ეფექტიანობისა და ხარისხის შიდა და გარე შეფასებების შედეგები, უნივერსიტეტის საქმიანობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, აგრეთვე, შესწავლილი იქნა წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება შესაბამისი საერთაშორისო კონტექსტის გასათვალისწინებლად;

სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგია შემუშავდა დაინტერესებული მხარეების - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობითა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორის - მიდლსექსის უნივერსიტეტის წარმომადგენლის მხარდაჭერით. გეგმის შემუშავებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ პერსონალთან კომუნიკაცია იყო, რადგან სტრატეგიული გეგმის განხორციელება ცვლილებებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია, თითოეული აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი მკაფიოდ იაზრებდეს საკუთარ როლს ამ მნიშვნელოვან ცვლილებებში.

საერთაშორისო პარტნიორის ჩართულობა დაეხმარა სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფს, რათა საკუთარი სამომავლო მიზნები დაეფუძნებინა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და მრავალწლიან გამოცდილებაზე. სწავლა-სწავლების სტრატეგია წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილს და განავრცობს მას; განსაზღვრავს სტრატეგიულ პრიორიტეტებს და მათი განხორციელების მექანიზმებს მომავალი სამი წლისთვის. სწავლა-სწავლების სტრატეგია მკაფიო მიმართულებას იძლევა სამომავლო აქტივობების დაგეგმვისა და წარმართვისთვის. სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია **საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტები**, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სწავლების პროცესში ჩართულმა ნებისმიერმა პირმა.

სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პირობებში ჩამოაყალიბა ძირითადი სტრატეგიულ პრიორიტეტები და ამოცანები. ამოცანების ფარგლებში განისაზღვრა აქტივობები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები/კრიტერიუმები;

მომავალი სამი წლისთვის, სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის ჩამოაყალიბდა შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

- სწავლის შედეგების გაუმჯობესება, დისციპლინური კონტექსტის, კრიტიკული აზროვნების და დასაქმების მნიშვნელობის აღიარება¹.
- მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნა;
- სწავლა-სწავლების კონტექსტში სამეცნიერო აქტიურობის განვითარება იმისთვის, რათა გაძლიერდეს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხარდაჭერა და ამით გაიზარდოს უნივერსიტეტის რეპუტაცია.

თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიღწევის მაჩვენებელს, ამასთან, თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტისთვის გამოყოფილია საკვანძო ინდიკატორები. სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიის აღსრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია კონკრეტული სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული გეგმის გადახედვა

განხორციელებული გარე, შიდა შეფასებების და სტრატეგიის მონიტორინგის შედეგების კვალდაკვალ ყოველწლიურად განხორციელდება სწავლა-სწავლების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების გადახედვა იმ სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელმაც მოახდინა 2022-2024 წ.წ.-ის სტრატეგიის ფორმირება.

¹ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სტუდენტების ინტელექტუალურ, ემოციურ, სოციალურ და სამოქალაქო განვითარებას და იმ კოპორტის, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

ნაწილი 2. სტრატეგიული პრიორიტეტები და განხორციელების გეგმა

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. სწავლის შედეგების გაუმჯობესება, დისციპლინური კონტექსტის, კრიტიკული აზროვნების და დასაქმების მნიშვნელობის აღიარება.

1. სტუდენტთა სწავლა-განვითარების და აკადემიური მიღწევების ზრდა

სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების უწყვეტ დიალოგში ჩასართავად, რაც ხელს უწყობს სწავლა-განვითარებას და აკადემიური მიღწევების ზრდას:

1. ფაკულტეტის დონეზე ეს მიღწეული იქნება თითოეული ფაკულტეტის მიერ ყოველ სემესტრში სტუდენტებისთვის, ხოლო დამსაქმებლებისთვის ყოველწლიური უკუკავშირის მექანიზმების შეთავაზებით. სტუდენტების უკუკავშირი შეეხება სტუდენტთა აღქმებს სწავლის შესახებ, სასწავლო კურსების შეფასებას, სწავლის ხელშემწყობ და შემაფერხებელ გარემოებებს (მაგალითად, პედაგოგთა ქცევა, ლექციების ორიგინალურობა და ხარისხი, პედაგოგთა ენთუზიაზმი და მოტივაცია, შეფასების ფორმა და კონტექსტი, სასწავლო სახელმძღვანელოების ფასი); სტუდენტთა მიერ არჩეული იქნებიან სტუდენტთა წარმომადგენლები, რომლებიც დამატებით ანგარიშის სახით განსახილველად წარმოადგენენ დანარჩენ სტუდენტთა შეხედულებებს; შეფასების ანგარიში განხილული იქნება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და მოხდება უკუკავშირის გაცემა (წერილობითი/ზეპირსიტყვიერი). ღირებულად მიჩნეული იდეები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოსა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიას და სწავლა-სწავლების პრინციპებს, დაინერგება.
2. სტუდენტები გამოიკითხებიან შეფასების რელევანტურობის, მისი ორგანიზების და მასთან დაკავშირებული უკუკავშირის პროცესის შესახებ; სტუდენტთა უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები (ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუ...);
3. სტუდენტთა უკუკავშირი თითოეულ პედაგოგთან მიმართებით დოკუმენტირდება და ის განხილული იქნება პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ასევე, პედაგოგთა საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები აღნიშნული და ხაზგასმული იქნება.

მიღწევის მაჩვენებელი:

1. 2022 წლის დეკემბრისთვის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს სტუდენტი-წარმომადგენელი, შემუშავებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები, სახელმძღვანელო დოკუმენტები, მომზადებულია ანგარიშები;

2. **ყოველსემესტრულად** ტარდება გამოკითხვა შეფასების რელევანტურობის, მისი ორგანიზების და მასთან დაკავშირებული უკუკავშირის პროცესის შესახებ; ჩატარებულია ფოკუს-ჯგუფ(ებ)ი თითოეული პროგრამის სტუდენტებისთვის, შემუშავებულია ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები;
3. **ყოველსემესტრულად** დოკუმენტირდება სტუდენტების უკუკავშირი პედაგოგების შესახებ; შემუშავებულია პროცედურის მარეგულირებელი დოკუმენტი, დასტურდება მექანიზმის გამოყენება - შემუშავებული რეკომენდაციების ან/და საუკეთესო პრაქტიკის გამოკვეთით.

სტუდენტებში კვლევების, ინფორმაციული და ციფრული ტექნოლოგიების კრიტიკული და ეფექტიანი გამოყენების განსავითარებლად:

1. საფაკულტეტო დონეზე განხორციელდება კურიკულუმის აუდიტი. სილაბუსში ასახული იქნება უახლესი კვლევები და ასევე, პედაგოგის კვლევები სასწავლო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით (ასეთის არარსებობის შემთხვევაში). პედაგოგი ვალდებულია, რომ თავისი ლექციები რელევანტური ფორმით წარმოადგინოს და საჭიროების მიხედვით განაახლოს მათში მოცემული ინფორმაცია.
2. ყველა აკადემიური პერსონალი სავალდებულოდ გაივლის ტრენინგებს სწავლების პროცესის ადეკვატურად და ეფექტიანად წარმართვისთვის (ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება სწავლების პროცესში, სწავლების ეფექტური მეთოდები, შეფასების მეთოდები და უკუკავშირის მიცემა, სტუდენტთა ჩართულობის ზრდის სტრატეგიები და სხვ.). ისინი პრაქტიკაში დანერგავენ ტრენინგების დროს გაჟღერებულ იდეებს, რაზეც მოხდება შესაბამისი ანგარიშის მომზადება/რეფლექსია;
3. განხორციელდება აუდიტი სტუდენტთა მხრიდან ტექნოლოგიის წვდომაზე და იმ შემთხვევებში, სადაც წვდომა შეზღუდულია, ან ვერ ხერხდება, შემუშავდება პრობლემების გადაჭრის გზები.

მიღწევის მაჩვენებელი:

1. **2022 წლისთვის** განხორციელებულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აუდიტი და გამოკვეთილია გაუმჯობესების საჭიროებები;
2. **2022 წლისთვის** ცვლილებები განხორციელებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში;
3. **2022 წელს** გადამზადებულია ყველა აკადემიური პერსონალი სწავლების ეფექტიანად განხორციელების მიზნით და პერმანენტულად ხორციელდება ტრენინგები სწავლა-სწავლების მიმართულებით;
4. სწავლების ეფექტიანობა დასტურდება გამოკითხვის შედეგებით.

სტუდენტთა მომავალი დასაქმებისა და პროფესიული პრაქტიკის (დამსაქმებლებთან ურთიერთობა და მათი სწავლების სფეროს შესაბამის სამუშაო გარემოში ცოდნის შექმნა) ხელშესაწყობად და იმისთვის, რათა სწავლის პროცესში შექმნილი გამოცდილება რელევანტური იყოს პროგრამის მიზნებთან:

1. ჩატარდება ყველა პროგრამის აუდიტი, რათა გამოიკვეთოს დასაქმების შესაძლებლობები და ის წვლილი, რომლის შეტანაც შეუძლიათ კურსდამთავრებულებს ქვეყნის ეკონომიკაში. კურიკულუმში განხორციელდება ცვლილებები და ისინი განხილული იქნება დამსაქმებლებთან, კომერციულ ასოციაციებთან და სხვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან;
2. სტუდენტებისთვის განვითარდება სპეციალური, კურიკულუმ გარე/ექსტრა-კურიკულარული პროგრამები, სასერტიფიკატო კურსები;

მიღწევის მაჩვენებელი:

1. **2022 წელს** განხორციელებულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აუდიტი და გამოკვეთილია გაუმჯობესების საჭიროებები;
2. **2023-2024 წლებში** ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში დამსაქმებლის, კომერციული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შესაბამისად;
3. **2022 წელს** შემუშავებულია სტუდენტთათვის დამატებითი - კურიკულუმ გარე პროგრამების კონცეფციები (მაგალითად, სამეწარმეო საქმის, მცირე ბიზნესში მუშაობისა და სამოქალაქო ჩართულობის და ა.შ. შესახებ)
4. **2023-2024 წლებში** ხორციელდება სტუდენტთა ექსტრაკურიკულარული პროგრამები/სასერტიფიკატო კურსები სტუდენტთა მომავალი დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით;
5. **2023-2024 წლებში** ფასდება სტუდენტთა კურიკულუმ გარე პროგრამების ეფექტიანობის და სტუდენტთა მიერ მათი კმაყოფილება.

სტრატეგიული პრიორიტეტის საკვანძო ინდიკატორები:

- სასწავლო კურსების გადალახვის ზღვრული მაჩვენებლის, საშუალოზე მაღალი შეფასების, პროგრამაში პროგრესირების ყოველწლიური ზრდა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
- სასწავლო პროცესით სტუდენტთა გაზრდილი კმაყოფილება.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნა;

2. სტუდენტთა და პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა

დისციპლინის კვლევასა და თანამედროვე პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკაზე დამყარებულ კურიკულუმსა და სასწავლო გამოცდილებაში სტუდენტთა ჩასართავად:

1. თითოეული პროგრამა განავითარებს კურიკულუმში პრაქტიკული/გამოყენებითი პროექტის კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტები გამოიკვლევენ თავიანთ დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარმოადგენენ თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ორგანიზაციამ მათ მიერ განვითარებული იდეებიდან.
2. ეს სავალდებულო იქნება ყველა პროგრამისთვის.

მიღწევის მაჩვენებელი:

1. **2022 წელს** განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამების აუდიტი. იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა კურიკულუმი არ ითვალისწინებს პრაქტიკულ/გამოყენებით პროექტს ან საჭიროებს მისი კონცეფციის ცვლილებას. თითოეული პროგრამისთვის შემუშავებულია პრაქტიკული/გამოყენებითი პროექტის კონცეფცია და შინაარსი;
2. **2023 წელს** შემუშავებულია პრაქტიკული/გამოყენებითი პროექტები თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის და მოდიფიცირებულია კურიკულუმი;
3. **2024 წელს** თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დანერგულია პროექტი.

თანამშრომლებისთვის ისეთი სასწავლო გარემოს (ფიზიკური ან ვირტუალური) შესაქმნელად, რომელიც ხელს უწყობს საუკეთესო სასწავლო გამოცდილების განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფ (ან მათზე აღმატებულ) სამეცნიერო კვლევაზეა დამყარებული:

1. განხორციელდება უკუკავშირი ეროვნულ პროფესიულ სტანდარტთან მიმართებით, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში სახელმძღვანელოდ იქნება აღებული გაერთიანებული სამეფოს პროფესიული სტანდარტების ჩარჩო. ჩატარდება დაკვირვებები ამ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, უკუკავშირი დოკუმენტირებული იქნება. პედაგოგების პროგრესი ამ მიმართულებით წახალისებული/ხაზგასმული იქნება.
2. ეს მოითხოვს ტრენინგებს დამკვირვებლებისთვის, ასევე, შეფასებისა და უკუკავშირის სისტემას, მენტორთა სქემას, მხარდაჭერის ცენტრს დისკუსიებისთვის და უმაღლესი განათლების შესახებ პედაგოგიური ლიტერატურის აქტიურ სამეცნიერო ანალიზს. ამას სწავლა-სწავლების კომიტეტი უხელმძღვანელებს, რომელიც კონკრეტულ ფაკულტეტებთან იქნება კოორდინირებაში;
3. სწავლისა და სწავლების კომიტეტი მიერ ჩატარდება სპეციალური ტრენინგები უმაღლესი განათლების პედაგოგიკის შესახებ, რომელიც მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების მიერ დანერგილ მეთოდებზე იქნება აგებული. ტრენინგების გარდა, ასევე ჩატარდება სამუშაო ჯგუფების შეხვედრებიც (ე.წ. „ვორქშოპები“). ამ ტრენინგებში ჩართვა რეკომენდირებული იქნება ყველა აკადემიური პერსონალისთვის მათი პედაგოგიური პრაქტიკის უწყვეტად დახვეწა-განვითარებისთვის, თუმცა ახალი/დამწყები პედაგოგებისთვის ის სავალდებულო იქნება. პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელი იქნება. მომზადდება სახელმძღვანელო დოკუმენტები, ე.წ. „გაიდბუქები“ სწავლებაში ჩართული პერსონალისთვის: თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, უკუკავშირის, აქტიური სწავლების, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდისა და მათი მხარდაჭერის შესახებ.
4. საჭირო იქნება სპეციალური სქემების განვითარება ამ დაკვირვებებისა, დისკუსიებისა და მოსალოდნელი სტანდარტის ფორმალიზებისთვის და შემდეგ მათი დანერგვა. პედაგოგებს ხელი შეეწყობათ, რომ მათ მოახდინონ ურთიერთშეფასება, ასევე თვითშეფასება ამ სტანდარტებთან მიმართებით, ხოლო გამორჩეული პრაქტიკა წახალისდება/აღნიშნული იქნება. სწავლა-სწავლების კომიტეტი ხელს შეუწყობს პედაგოგებს ამ ყოველივეს დანერგვაში.

მიღწევის მაჩვენებელი:

1. **2022 წელს** სწავლა-სწავლების კომიტეტი ფუნქციონირებს;
2. **2022 წლის დეკემბრისთვის** თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასებულია გაერთიანებული სამეფოს პროფესიული სტანდარტების მიმართ და გაცემულია რეკომენდაციები
3. **2023 წელს დაკვირვება** ხდება რეკომენდაციების შესრულებაზე;

4. **2022 წელს დასასრულს** გადამზადებულია აკადემიური პერსონალის 50%-ზე მეტი უმაღლესი განათლების პედაგოგიკაში;
5. **2022-2023 წლებში** შემუშავებულია სახელმძღვანელო/დამხმარე დოკუმენტები.

სტრატეგიული პრიორიტეტის საკვანძო ინდიკატორები:

- სტუდენტთა სწავლა-სწავლების, შეფასები პროცესები წარმატებითაა შეფასებული შიდა და გარე სააგენტოების მიერ

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: სწავლა-სწავლების კონტექსტში სამეცნიერო აქტიურობის განვითარება იმისთვის, რათა გაძლიერდეს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხარდაჭერა და ამით გაიზარდოს უნივერსიტეტის რეპუტაცია.

1. აკადემიური პერსონალი წახალისდება, რათა დაესწროს კურსებს და მიაღწიონ გამორჩეულ სტანდარტს, რომელიც მოითხოვება უნივერსიტეტის მიერ. მათ ხელი შეეწყობათ, რომ გაავრცელონ მათი მიდგომები სწავლების მიმართ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში, სემინარებსა და ვორქშოპებზე.
2. უნივერსიტეტი დაფინანსების მოქმედი „ბონუს სქემის“ შესაბამისად, დააფინანსებს სამეცნიერო აქტივობებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება სწავლებასა და სწავლაზე, ვინც შეიტანს წვლილს სწავლების ხარისხის ამაღლებაში, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში.
3. სტუდენტის სწავლის გამოცდილების განვითარებისთვის პერსონალის წვლილის შესაფასებლად გამოყენებული იქნება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემა; მათთვისაც, ვისაც დაუდასტურდება გამორჩეული პრაქტიკა, გაიზრდება. კარიერული განვითარების პერსპექტივები;

მიღწევის მაჩვენებელი:

1. **2022 წლის ბოლოსთვის** განახლდება აკადემიური პერსონალის წახალისებისა და კარიერული ზრდის მექანიზმი, სწავლების პრაქტიკის გამოყენებით;
2. **2022 წელს** ჩატარდება კონფერენცია სწავლების ხარისხის შესახებ და გამოიცემა კონფერენციის მასალები.
3. **2023 წელს** გამოიცემა პირველი სამეცნიერო კრებული სწავლების მიდგომების შესახებ;

საკვანძო ინდიკატორები:

- პერსონალის წახალისების კრიტერიუმები ასახავს გამორჩეულ ხარისხს სწავლებაში.

ამ პრიორიტეტების მიღწევა სტუდენტებს შორის უზრუნველყოფს:

- ინკლუზიური სასწავლო გარემოსა და სწავლაზე ორიენტირებული წრეების (ფიზიკური და ვირტუალური) შექმნას, რომლებიც ხელს უწყობენ მაღალი ხარისხის აკადემიურ გამოცდილებას და ასახავენ ჰარმონიულ ურთიერთკავშირს სწავლა-სწავლებასა და კვლევას შორის.
- სტუდენტების უზრუნველყოფას დროული და ხარისხიანი უკუკავშირით, რომელიც უზრუნველყოფს მათ პირად განვითარებას;
- სტუდენტთა პრობლემების სწრაფ დადგენას და მათ ეფექტურად გადაჭრას.

მიღწევის მაჩვენებლები:

- გაზრდილი სტუდენტთა კმაყოფილება.
- პერსონალის გაზრდილი კმაყოფილება სტუდენტების სწავლით, სასწავლო გარემოთი და სტუდენტთა გამოკითხვით.

რესურსები, რომლებიც განვითარდება:

- სწავლების სტანდარტები;
- სასწავლო კურსები;
- დამკვირვებელთა სტანდარტი და მათი ტრენინგი;
- უკუკავშირის მექანიზმი სტუდენტებისთვის - სტუდენტ წარმომადგენელთა სისტემა
- სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების გაუმჯობესების დოკუმენტირება
- სტუდენტთა განვითარების მონიტორინგი
- სწავლების სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარება
- სწავლების მეთოდების/პრაქტიკის პერსონალის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებში ინტეგრირება
- სახელმძღვანელო/დამხმარე დოკუმენტები აკადემიური პერსონალისთვის
- პერსონალის განვითარების სქემები და პროგრამები

ნაწილი 3. საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა განსაზღვრა საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტები, რათა ჩამოეყალიბებინა ერთიანი ხედვა და მიმართულება სწავლების სტანდარტების მიმართ. საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტები წარმოადგენს თითოეული პედაგოგის საქმიანობის ჩარჩოს და უზრუნველყოფს როგორც სწავლების სტანდარტის ერთიან აღქმას, ასევე ამ სტანდარტების დანერგვასა და დაცვას, რაც საბოლოოდ, სწავლის ხარისხზე აისახება.

უნივერსიტეტში დასაქმებული პედაგოგების სწავლების ხარისხმა ხელი უნდა შეუწყოს სწავლას და ყველა სტუდენტს მათი პოტენციალის გამოვლინების საშუალება მისცეს. ეს ხორციელდება თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში ჩართვით, უკუკავშირის მექანიზმის გამოყენებით და სხვა მეთოდებით.

შესაბამისი სტანდარტის მისაღწევად უნივერსიტეტში დასაქმებულმა პედაგოგმა:

1. **უნდა დასახოს ისეთი მიზნები, რომლებიც სტუდენტებს აღუძრავს ენთუზიაზმს, გააძლიერებს მათს მოტივაციას და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისკენ უბიძგებს.**
 - დასახეთ ისეთი მიზნები, რომლებიც მოტივაციას გააღვიძებს ყველა სტუდენტში (მათი წარმომავლობის, უნარების და განწყობების მიუხედავად). ეს თავის თავში მოიცავს სტუდენტთა მრავალფეროვნების გათვალისწინებას.
2. **ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების აკადემიურ წინსვლას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.**
 - იმ კოლეგებთან ერთად, რომლებიც სასწავლო პროცესში არიან ჩართულნი, შეიტანეთ კონტრიბუცია სტუდენტების აკადემიურ მიღწევების, წინსვლისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.
 - მოიპოვეთ ინფორმაცია სტუდენტთა უნარებისა და მათ მიერ უკვე შეძენილი ცოდნის შესახებ და თქვენი სწავლების სტრატეგია ამ ინფორმაციაზე დაამყარეთ. ეს ხელს შეუწყობს სწავლების ინდივიდუალიზებას.
 - დააკვალიანეთ სტუდენტები, რათა მათ შეძლონ თავიანთი აკადემიური მიღწევების და სწავლის პროცესში წარმოქმნილი ახალი მოთხოვნილებების შეფასება.
 - გამოავლინეთ თქვენი ცოდნა და კომპეტენციები შემდეგი კუთხით:
 - ა) როგორ ითვისებენ სტუდენტები სასწავლო მასალას;
 - ბ) რა გავლენას ახდენს ეს სწავლების პროცესზე.

- წახალისეთ სტუდენტებში კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება მათ მიერ გაწეული სამუშაოსა და სწავლის მიმართ.

3. უნდა გამოავლინოს საგნის კარგი ცოდნა.

- ცოდნის შესაბამის სფეროში მყარი ცოდნა უნდა გქონდეთ; ხელი შეუწყვეთ სტუდენტების საგნით დაინტერესებას და შეინარჩუნეთ მათი ინტერესი;
- აჩვენეთ, რომ კარგად გაქვთ გააზრებული ის პროცესები, რომლებიც თქვენი ცოდნის სფეროში მიმდინარეობს და ხელი შეუწყვეთ მეცნიერული კვლევის ღირებულების სათანადო გააზრებას.
- აჩვენეთ, რომ სათანადოდ გაქვთ გააზრებული გამართული ქართულით წერისა და მეტყველების მნიშვნელობა. ხელი შეუწყვეთ სტუდენტებში გამართული ქართულით საუბარს, წერას.

4. უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს გონივრულად ორგანიზებული ლექციები.

- ცოდნის გადაცემისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების პროცესი სალექციო დროის ეფექტური გამოყენების პირობებში უნდა წარიმართოს.
- ხელი შეუწყვეთ სწავლის მიმართ ენთუზიაზმის გაძლიერებას და გააღვივეთ სტუდენტების ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა.
- ეთიკური სტანდარტების დაცვით მიუთითეთ სტუდენტებს (როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად) მათ შეცდომებზე (საგნობრივი საკითხები, მართლწერა, მეთოდოლოგია და ა.შ.); წახალისეთ ისინი დამოუკიდებელი (ლექციის მიღმა) სასწავლო აქტიურობებისკენ, რათა მათ შეძლონ სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნის გამყარება და განვრცობა.
- სისტემატურად აწარმოეთ დაკვირვებები ლექციების ეფექტურობასა და სწავლების მეთოდებზე.
- შეიტანეთ თქვენი წვლილი საინტერესო სასწავლო პროგრამის შექმნაში/არსებული სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებაში.

5. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოახდინოს სწავლების ადაპტირება იმისთვის, რათა დააკმაყოფილოს ყველა სტუდენტის მოთხოვნილება და დაეყრდნოს მათ ძლიერ მხარეებს.

- უნდა იცოდეთ, თუ როდის და როგორ მოახდინოთ სათანადო ვარირება და გამოიყენოთ ისეთი მიდგომები, რომლებიც ეფექტურ სწავლებას უზრუნველყოფს.
- კარგად უნდა გქონდეთ გააზრებული, თუ რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სტუდენტს სწავლის პროცესში და თუ როგორ შეიძლება წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა.
- ყურადღება გაამახვილეთ ყველა სტუდენტის საჭიროებებზე, ასევე, გაითვალისწინეთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე სტუდენტები; ისინი, რომლებიც გამორჩეული უნარებით არიან დაჯილდოებულნი; ისინი, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა; ისინი, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის პირთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. მათთან მიმართებაში და მათ მხარდასაჭერად განსხვავებული სასწავლო მიდგომები უნდა იქნეს გამოყენებული.

- სწავლების პროცესმა სტუდენტები უნდა ჩართოს სწავლის პროცესში, რომელიც მათ მიერ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი, ადეკვატური და ყველასთვის ხელმისაწვდომი. სწავლების პროცესი უნდა ემყარებოდეს ისეთ გაგებას, რომელიც ინდივიდსა და ინდივიდუალურ განსხვავებას მრავალფეროვნების წყაროდ მიიჩნევს (აქ იგულისხმება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ეთნიკურობა, გენდერი, სქესობრივი ორიენტაცია, რელიგია, შეზღუდული შესაძლებლობები), რომელიც ამრავალფეროვნებს ცხოვრებას და სწავლის გამოცდილებას.

6. მართებულად და ადეკვატურად უნდა შეაფასოს სტუდენტები.

- გააზრებული უნდა გქონდეთ, თუ როგორ შეაფასოთ შესაბამისი სფეროები ეფექტურად.
- სტუდენტის აკადემიური წინსვლის უზრუნველსაყოფად გამოიყენეთ პერიოდული წერილობითი უკუკავშირი მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებით (ესეს/დავალების კომენტირება და სხვ.).
- გამოიყენეთ შესაბამისი ინფორმაცია, რათა გააკონტროლოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და მომავალი ლექციები დაგეგმოთ.
- გქონდეთ რეგულარული უკუკავშირი სტუდენტებთან (როგორც ზეპირი/წერილობითი სახით, ასევე, ადეკვატური შეფასების მეშვეობით). წახალისეთ სტუდენტები, რათა მათ დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია თქვენს უკუკავშირთან მიმართებაში.

7. ეფექტურად უნდა მართოს თავისი ქცევა, რათა უზრუნველყოს სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა.

- ლექციის დროს იხელმძღვანელებთ ქცევის მკაფიოდ დადგენილი წესებით, ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისად. უზრუნველყავით მშვიდი სალექციო გარემო.
- ეფექტურად წარმართეთ ლექცია, გამოიყენეთ ის მეთოდები, რომლებიც სტუდენტთა მოთხოვნილებებს შეესაბამება და რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მათი ჩართულობისა და მოტივაციის გაძლიერება.
- იქონიეთ კარგი ურთიერთობა სტუდენტებთან და, ამავე დროს, შეინარჩუნეთ შესაბამისი ავტორიტეტი.

8. უნდა შეასრულოს სხვა პროფესიული ვალდებულებები.

- იქონიეთ ეფექტური პროფესიული ურთიერთობები კოლეგებთან, გამოიმუშავეთ იმის ცოდნა, თუ როდის და როგორ მიმართოთ სხვას რჩევისა და პროფესიული მხარდაჭერისთვის.
- ეფექტურად გამოიყენეთ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ადამიანური რესურსი.
- გამოავლინეთ პროფესიული პასუხისმგებლობა პიროვნულ განვითარებაზე ორიენტაციით (პროფესიული განვითარება, კოლეგების რჩევებსა და უკუკავშირზე რეაგირება).
- გამოიყენეთ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით (ტრენინგები, სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, სემინარები, ვებინარები, კონფერენციები და სხვ.), რათა სწავლების პრაქტიკა დახვეწოთ და განავითაროთ.